

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო შიუკაშვილი

წევრები:

2. მაკა მახარობლიძე _ (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)
3. თამარ ბერიძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
4. ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე _ (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
5. სალომე ზარქუა - (უცხოურიენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
6. ქეთევან ლარცულიანი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
7. ნათია ორმოცაძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
8. ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
9. ნინო კოვზიაშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
10. ხათუნა ნანობაშვილი - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
11. მიხეილ გაფრინდაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)	223104398

საიდენტიფიკაციო კოდი	
----------------------	--

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ასპინძის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ასპინძის მუნიციპალიტეტი , სოფელი ჭობარეთი
საფოსტო ინდექსი	0500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi-admin.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chobareti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577094889

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2024 წლის , 6 ივნისის, ბრძანება № MES 4 24 0000627710 ცვლილება 06.08 2024წ. ბრძანებაა № MES 2 24 0000945940
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	18-19 ივლისი, 2024წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლე ბლო	ზოგადსაგანმანათლე ბლო	ზოგადსაგანმანათლე ბლო	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებ ლო
	პროგრამის სახელწოდება	პროგრამის საფუძვრი	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტ ეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა- ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

1	ა) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული ენა	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭობარეთი (ერთი შენობა-ნაგებობა)
2	ბ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული ენა	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭობარეთი (ერთი შენობა-ნაგებობა)
3	ბ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული ენა	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭობარეთი (ერთი შენობა-ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განვიხილეთ სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, გვეჩვენა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შევისწავლეთ სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. ასევე ადგილზე დავათვალიერეთ სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდი. საგნობრივი ექსპერტები დისტანციურ რეჟიმში გაესაუბრნენ კათედრებს და უშუალოდ საგნის მასწავლებლებს საგნობრივ სტანდარტთან დაკავშირებულ საკითხებზე, რესურსებზე, დოკუმენტაციასა და ზოგადად სასწავლო პროცესის შესახებ, ასევე აქტიურად იყო ჩართული დაწყებითი საფეხურის ექსპერტიც. იგი ესწრებოდა ყველა შეხვედრას, თანამშრომლობდა საგნობრივ ექსპერტებთან და აზრთა შეჯერების შემდგომ გაცემდა რეკომენდაციებსა და რჩევებს. დავათვალიერეთ სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რამაც კიდევ უფრო ნათელი გახდა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები და გარემო. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
---	-----------------------------	---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვიზიტის პროცესში გულდასმით იქნა შესწავლილი როგორც სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ასევე გარემო, სკოლის კულტურა. სკოლის გამორჩეულ პრაქტიკად მათი უდიდესი მოტივაცია, სიახლეებისადმი მიმდებლობა და სკოლის შესანარჩუნებლად მთელი გუნდის ერთსულოვნება მივიჩნიეთ.

ჭობარეთი პატარა სოფელია და, შესაბამისად, სკოლაც მცირეკონტინგენტიანია. ამიტომ სკოლის შესანარჩუნებლად, ღირეუცია და პედაგოგებიც ბევრს შრომობენ. როგორც გაირკვა, ისინი ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებიც კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდებზე გავიდნენ და სერტიფიცირება მიიღეს. ამ ფაქტმა მეტად გაზარდა მშობლების ნდობა პედაგოგებისა და სკოლის გუნდის მიმართ. შესაბამისად სკოლას, მიუხედავად მცირეკონტინგენტისა, სამივე საფეხური აქვს და ყველა კლასი. გარდა ამისა, ჭობარეთის სკოლის გუნდის განწყობა დადებითად აისახა მეზობელი სოფლების სკოლების პედაგოგებზე და გაზარდა საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდის ჩაბარების მოტივაცია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 აღამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 70	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა <i>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</i>
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები შეფასდა :

დაწყებითი საფეხურის პროგრამა __ სრულ შესაბამისად ;

საბაზო საფეხურის პროგრამა __ სრულ შესაბამისად ;

საშუალო საფეხურის პროგრამა __ სრულ შესაბამისად.

ნ. კოჭ

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
ინდიკატორი N		
ინდიკატორი N		
ინდიკატორი N		
მატერიალუ		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N . 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას....	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია , შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადაში , 2026 წლის 23 აპრილამდე, და წარმოადგინოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მიერ გაცემული დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
ინდიკატორი N . 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია , შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადაში, 2026 წლის 12 აგვისტომდე, უზრუნველყოს რესურსოთახის მოწყობა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N.2.1.2.3		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N 1.2.1.1	•სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სასურველია, სკოლის საჭიროების, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების დასადგენად სკოლამ შეადგინოს თითოეულ ფოკუსჯგუფზე მორგებული კითხვარები და მათი ანალიზის საფუძველზე შეიტანოს ცვლილებები სტრატეგიულსა და სამოქმედო გეგმებში.
ინდიკატორი N 1.2.1.4	•სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები	სასურველია, კიდევ ერთხელ გადახედონ 2024-2025 სას,წლის სამოქმედო გეგმის პროექტს და დაიგეგმოს სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი ამოცანების შესაბამისი აქტივობები რეალისტურ ვადებში და შესრულების ინდიკატორები, რათა

	და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	თანხვედრაში მოვიდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.4.1.6.	1. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	• სასურველია, სკოლამ გამოყოს ცალკე მტატი და აიყვანოს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი . • გამოყოს ცალკე იზოლირებული სივრცე ძველი სასკოლო ჟურნალების დასაარქივებლად, რათა არ იყოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია თუნდაც კურსდამთავრებულების აკადემიური მოსწრების შესახებ და ჟურნალი იყოს დაცული / შენახული კანონმდებლობით გათვალისწინებული დროის (25წ) განმავლობაში.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდის კათედრას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: 1. თემატური ერთეულები მოექცეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკის სახელწოდების ქვეშ (საგანი-სახვ. და გამოყენებითი ხელოვნება; იხ. მე-6 კლასის კურიკულუმი); 2. კურიკულუმის დოკუმენტში სრულად აიასახოს სამივე თემატური ბლოკი (საგანი-სახვ. და გამოყენებითი ხელოვნება); 3. კურიკულუმის დოკუმენტში სტანდარტიზირებულად და სტატიტუკარად ჩამოყალიბდეს შემადგენელი კომპონენტის

		მკაფიო დასახელება: ან „ძირითადი რესურს-მაგალითი“, ან „ძირითადი ქეისი“ (საგანი-მუსიკა);
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: 1. სრულად შეივსოს საგნობრივი კურიკულუმი III-IV კლასების საგან - მე და საზოგადოებაში, გაიწეროს თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, შესაბამისი სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით, მიეთითოს თითოეული საკითხის დასამუშავებლად ვალიდური რესურსები (სახელმძღვანელო, ბმულები და ა.შ.). 2. თითოეული თემის ფარგლებში განისაზღვროს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის (საგანი მე და საზოგადოება III-IV კლასები). საგნობრივ კურიკულუმში გარდა კომპლექსური დავალებებისა გაიწეროს ის საკითხებიც, რომლებიც დამუშავდება თითოეული თემის ფარგლებში, შესაბამისად თითოეულ საკითხთან მიმართებით განისაზღვროს სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხის დასამუშავებლად განსაზღვრული რესურსები; სავალდებულო თემებში დამუშავდეს საგნის ფარგლებში განსაზღვრული თითოეული სამიზნე ცნება (ჩვენი საქართველო მე-5-მე-6 კლასები);
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ესთეტიკური აღზრდის კათედრას მიეცა რჩევა, რომ I-VI კლასის კურიკულუმის თემები, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, გაიწეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველა პრინციპის მიხედვით (ჰიგიენა, სწორი/ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, დღის რეჟიმი, მავნე ჩვევები, უსაფრთხოება.) ხოლო ერთი და იგივე თემა არ მეორდებოდეს კლასებში. ასევე ფიზიკური აღზრდის I-IV კლასის კურიკულუმებში სასურველია დაემატოს

		თემა: „მოდრავი თამაშები“ იმ სპორტის სახეობის ელემენტებით, რომლის რესურსიც(ინვენტარი) გააჩნია სკოლას.
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	მეშუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სპორტის კათედრას მიეცა რჩევა , რომ I-VI კლასის კურიკულუმის თემები, სადაც მუშავდება ერთი სამიზნე ცნება, გაიწეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველა პრინციპის მიხედვით (პიგიენა, სწორი/ჯანსაღი კვება, ფიზიკური აქტივობა, დღის რეჟიმი, მავნე ჩვევები, უსაფრთხოება.) ხოლო ერთი და იგივე თემა არ მეორდებოდეს კლასებში. ასევე ფიზიკური აღზრდის I-IV კლასის კურიკულუმებში სასურველია დამატოს თემა: „მოდრავი თამაშები“ იმ სპორტის სახეობის ელემენტებით, რომლის რესურსიც(ინვენტარი) გააჩნია სკოლას.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდის კათედრას მიეცა რჩევა , რომ საგნობრივი სტანდარტით დადგენილი და საგნის სპეციფიკით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს შეფასებისას (განმსაზღვრელი, განმავითარებელი): 1. მკაფიოდ გამოიკვეთოს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე დამიზნებული კრიტერიუმები და მოსწავლისთვის გასაგებად ჩამოყალიბდეს კრიტერიუმის/ების შინაარსი (რა უნდა შეძლოს/წარმოაჩინოს მოსწავლემ კონკრეტულ ნამუშევარში ან ნამუშევარზე მსჯელობის დროს); 2. გადაიხედოს წონადი (შემაჯამებელი) დავალების ფორმის, კონტენტისა და შეფასების კრიტერიუმების კორელაცია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან, საგნის სტანდარტთან და სასკოლო კურიკულუმში გაცხადებულ მიზნებთან;
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხოური ენების კათედრას მიეცა რჩევა : განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა რაოდენობა ნაცვლად „10“-სა დაიყვანონ „6“-ს ქულამდე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სპორტის კათედრას მიეცა რჩევა : დაწყებითი საფეხურზე, საგნობრივი კურიკულუმით გათვლილი თემების (ტანვარჯიშის ელემენტები) სათანადოდ შესწავლისთვის, სასურველია სკოლაში უზრუნველყოს შესაბამისი

	მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.	ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ინვენტარის შეძენა.
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ესთეტიკური აღზრდის კათედრას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: 1. თემატური ერთეულები მოექცეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკის სახელწოდების ქვეშ (იხ. მე-7,8,9-კლასის მუსიკის კურიკულუმები); 2. კურიკულუმის დოკუმენტში სრულად აიასახოს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამივე თემატური ბლოკი (საგნები: მუსიკა/სახვ.და გამოყენებითი ხელოვნება); 3. „კონტექსტ მაგალითის“ კომპონენტში აღიწეროს თემის ფარგლებში შესასწავლ საკითხზე/ებზე ფოკუსირებული შესაბამისი შინაარსი (მაგ. მე-8 კლასის კურიკულუმი-სახვ. და გამოყენებითი ხელოვნება); 4. მუსიკის კურიკულუმებში სტატიკურად ჩამოყალიბდეს შემდეგი სტრუქტურული ერთეულის სახელწოდება - „ძირითადი კონტექსტ მაგალითი“ ან „ძირითადი ქეისი“ (იხ. მე-7,8,9-კლასის მუსიკის კურიკულუმები); 4. „სასწავლო რესურსების“ კომპონენტში აღიწეროს სასწავლო პროცესში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე რესურსის კონკრეტული ჩამონათვალი/დასახელება(მაგ.

		აუდიო მასალის ლინკი, ვიდეო ფაილის ლინკი, ბეჭდური მასალის სახელწოდება და ა.შ.);
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: 1. გაიმიჯნოს თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები ერთმანეთისგან, თითოეულ საკითხთან მიმართებით განისაზღვროს შესაბამისი სამიზნე ცნება ქვეცნებასთან ერთად; კომპლექსური დავალების იდეა ფორმულირდეს იმგვარად რომ ჩანდეს რა პროდუქტი იქმნება და რასთან დაკავშირებით (მე-7, 8, 9 კლასების მოქალაქეობის და გეოგრაფიის საგნობრივი კურიკულუმები); 2. თითოეულ თემაში გაწერეთ მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება შესაბამის სამიზნე ცნებასთან და ქვეცნებასთან მიმართებით, ასევე მიუთითეთ კომპლექსური დავალების კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის; ასევე აუცილებელია რომ საკითხისა და კომპლექსური დავალების ფორმულირება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან; კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით საგნობრივი კურიკულუმის ყველა სვეტი უნდა იყოს შევსებული (მე-7, 8, 9 კლასების გეოგრაფიის კურიკულუმი); თითოეული თემის ფარგლებში დამუშავდეს საგნის ფარგლებში არსებული ყველა სამიზნე ცნება, ზოგ შემთხვევაში კურიკულუმში ჩემატოს კომპლექსური დავალების იდეა (მე-7, 8, 9 კლასების ისტორიის კურიკულუმი);
ინდიკატორი 2.1.2.1 ინდიკატორი 2.1.2.2	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სპორტის კათედრას მიეცა რჩევა: საბაზო საფეხურზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმის თემა ოლიმპიზმში, სასურველია არ მეორდებოდეს მე-7-9 კლასში ერთი და იგივე საკითხები, შესაბამისად შეძლებისდაგვარად სრულად შეისწავლონ ოლიმპიზმის განვითარების ისტორია (ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიადები; საქართველო ოლიმპიადები; ქართველი ოლიმპიელები;

		ზამთრის ოლიმპიადა; ჰარა ოლიმპიადა; ოლიმპიური სიმბოლოები და ა.შ).
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	სპორტის კათედრას მიეცა რჩევა: საბაზო საფეხურზე, საგნობრივი კურიკულუმით გათვლილი თემების (სპორტის სახეობების) სათანადოდ შესწავლისთვის, სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ინვეტარის შეძენა.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდის კათედრას მიეცა რჩევა, რომ: 1. საგნობრივი სტანდარტით დადგენილი და საგნის სპეციფიკით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს შეფასებისას (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) მკაფიოდ გამოიკვეთოს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე დამიზნებული კრიტერიუმები და მოსწავლისთვის გასაგებად ჩამოყალიბდეს კრიტერიუმის/ების შინაარსი (რა უნდა შეძლოს/წარმოაჩინოს მოსწავლემ კონკრეტულ ნამუშევარში ან ნამუშევარზე მსჯელობის დროს); 2. შეფასების რუბრიკის ფორმაში (განსაზღვრელი/განმავითარებელი) მკაფიოდ აისახოს შემდეგი აუცილებელი კომპონენტები/ინფორმაცია: კლასი, მოსწავლის სახელი/გვარი, სასწავლო ერთეულის(თემის) სახელწოდება, დავალების პირობა, შეფასების კრიტერიუმები;(იხ. საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები მუსიკასა და სახვ. და გამოყენებით ხელოვნებაში);
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხოური ენების კათედრას მიეცა რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა რაოდენობა ნაცვლად „10“-სა დაიყვანონ „6“-ს ქულამდე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ესთეტიკური აღზრდის კათედრას მიეცა რჩევა: კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თავად მიიღებენ მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში და ასევე სასწავლო პროცესში დაინერგება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკა;
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია კიდევ უფრო გამდიდრდეს რესურსებით საბუნებისმეტყველო საგნების: ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკის ლაბორატორიები.

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.	
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (სამუშაო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დოკუმენტის აუცილებელ კომპონენტებში მკაფიოდ და თანმიმდევრულად აიასახოს სასწავლო მიზნებზე ფოკუსირებული შესაბამისი მონაცემები, კერძოდ: 1. თითოეულ თემაში გაწერეთ მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება შესაბამის სამიზნე ცნებასთან და ქვეცნებასთან მიმართებით, ასევე მიუთითეთ კომპლექსური დავალების კონტექსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის; კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით საგნობრივი კურიკულუმის ყველა სვეტი უნდა იყოს შევსებული(მე-10-11 კლასების მოქალაქეობის, გეოგრაფიის, ისტორიის და საქართველოს ისტორიის საგნობრივი კურიკულუმები); 2. გეოგრაფიისა და ისტორიის მასწავლებლებმა გაითვალისწინონ მე-7-8-9-10 კლასებისათვის შექმნილი საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო და იგივე ფორმატში მოაქციონ მე-11 კლასის გეოგრაფიისა და 12 კლასის ისტორიის საგნობრივი კურიკულუმები.

		3. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში უნდა მომზადდეს საგნობრივი კურიკულუმები მე-12 კლასისათვის საგნებში: გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია;
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სკოლის კათედრას მიეცა რჩევა: მე-10-12 კლასის კურიკულუმში ქვეცნებები და საკითხები გაიწეროს საფეხურის შესაბამისი ფორმულირებით. (არა ტექნიკური ელემენტების შესწავლა, არამედ დახვეწა)
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხოური ენების კათედრას მიეცა რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში ქულათა რაოდენობა ნაცვლად „10“-სა დაიყვანონ „6“-ს ქულამდე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ესთეტიკური აღზრდის კათედრას მიეცა რჩევა, რომ საგნობრივი სტანდარტით დადგენილი და სავალდებულო პროექტებით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს შეფასებისას (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) მკაფიოდ გამოიკვეთოს სამიზნე ცნებებზე და ქვეცნებებზე დამიზნებული კრიტერიუმები და მოსწავლისთვის გასაგებად ჩამოყალიბდეს კრიტერიუმის/ების შინაარსი (რა უნდა შეძლოს/წარმოაჩინოს მოსწავლემ კონკრეტულ ნამუშევარში ან ნამუშევარზე მსჯელობის დროს);
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია, უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას მიეცა რჩევა: სასურველია კიდევ უფრო გაძლიერდეს რესურსებით საბუნებისმეტყველო საგნების: ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკის ლაბორატორიები, თუმცა მცირეკონტინგენტიდან გამომდინარე ეს პრობლემას არ ქმნის სწავლებისას.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლას ვიზიტის პერიოდში მიეცა გარკვეული რეკომენდაციები ორი მიმართულებით:

- უსაფრთხოების დაცვა (3.4.1.1. ინდიკატორი)
- უნკლიზიურ გარემოსთან დაკავშირებით (3.5.1.4 ინდიკატორი)

სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გონივრულ ვადებშია გეწერილი ორივე ინდიკატორის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შესაბამისი აქტივობები.

სკოლამ წარმოდგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება საექსპერტო მომსახურების შესახებ, რაც ითვალისწინებს შენობის ექსპლუატაციისთვის შესაბამისობის დადგენას შეთანხმებულ ვადებში. ასევე ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს, რომ კომპიუტერული ლაბორატორია გადმოტანილია პირველ სართულზე და ინფრასტრუქტურა ქმნის ინგუზიურ გარემოს. შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლამ აიღო ვალდებულება, 3.5.1.4 ინდიკატორის სრულად შესაბამისობისთვის, 2026 წლის 12 აგვისტომდე მოაწყო რესურსოთახი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა, დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შესძინოს მას თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება. განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა. შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად, საკუთარი, ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი თვისებებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და გასავითარებლად. ასევე, დაეხმაროს მას მომავალი განვითარების გზის არჩევაში. (სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში ან ჩაებას შრომით საქმიანობაში.) იზრუნოს პედაგოგთა საქმიანობის ხარისხობრივ ზრდაზე, იყოს კონკურენტუნარიანი.

სკოლის ხედვა და ღირებულებებიც სრულიად გამომდინარეობს და შეესაბამება სკოლის მისიას.

- სკოლაში საჭირო რესურსებით აღჭურვილი, პოზიტიური, მამოტივირებელი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალურად უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება.
- სკოლა ხელს შეუწყობს მოზარდს გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობა ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ. გააცნობიეროს საკუთარი უფლება - მოვალეობები ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.
- სკოლა დაეხმარება მოსწავლეს საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღებაში, რათა შესძლოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის და დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სათანადო ჩართულობას სკოლის ცხოვრებაში უწყვეტი პროცესით. შესაბამისად,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალურად უსაფრთხო, ასევე ქვეყნისა და ოჯახის მიმართ პასუხისმგებლიანობისა და თვითრეალიზებისათვის საჭირო უნარების გასავითარებლად ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა. სკოლაში მართლაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნონ როგორც ფიზიკურად, ასევე ემოციურად და შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. სკოლა ამ მიმართულებით ახორციელებს სოციალურ სასკოლო პროექტებს, რომლებშიც აქტიურად რთავს მშობლებსაც და თემსაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. როგორც აღვნიშნეთ, სკოლა მცირეკონტინგენტიანია და სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და ღირებულებების დადგენა, ძირითადად, პირისპირ დაგეგმილ შეხვედრებზე სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობის შედეგად ხდებოდა. შემდეგ კი ერთად გამოკვეთეს პირობრიტეტები პირობრიტეტები და არსებულ დოკუმენტში უკუკავშირის საფუძველზე შეიტანეს

ცვლილებები, რომელზეც იმუშავა წინასწარ შექმნილმა ჯგუფმა და ჩამოაყალიბეს მისია, ხედვა და ღირებულებები საბოლოო სახით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფია გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოებისთვის. კერძოდ, სკოლის ღირებულების ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, იმუშავა სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის პროექტზე. მათ აღნიშნეს, რომ დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მიღებად ჰქონდათ შეხვედრები ფოკუსჯგუფებთან. მათთან შეთანხმების შემდეგ კი გასაჯაროვდა საბოლოო ვერსია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კერძოდ, გამოკრულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე, წარმოდგენილია დაწესებულების სოციალური ქსელის ფეისბუქგვერდსა და ვებ. გვერდზე. დაინტერესებულ პირებს კი ეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დაწესებულების სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: „სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლა“

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები);
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა
- სკოლის სამოქმედო გეგმა
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ფილოსოფიის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვაზე.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც დაევალა სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, სკოლის SWOT ანალიზის საფუძველზე, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავება. ექსპერტების მიერ ზემოაღნიშნული დოკუმენტების განხილვისას გამოიკვეთა, რომ ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მე-3 და მე-4 თავებში მკაფიოდაა გაწერილი დაგეგმვის პროცესში ჩართული მხარეები და პროცესთან დაკავშირებული მიდგომები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2023-2030 წლებს. სტრატეგიულ დაგეგმარებასთან დაკავშირებული პროცესები მოიცავს: თანამონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. SWOT ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სუსტი და ძლიერი მხარეები,

შესაძლებლობები და საფრთხეები. შვიდწლიანი განვითარების გეგმის მთავარი ამოცანები მათი გათვალისწინებით განისაზღვრა :

1. სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
2. კვალიფიკაციური კადრები;
3. არაფორმალური განათლების გაძლიერება;
4. ციფრული ტრანსფორმაცია;

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ექსპერტების მიერ მისი შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა, რომ იგი ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას და გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ ჰქონდა გაწერილი ინდიკატორები. სკოლის დირექციას მიეცა რჩევა, შეეტანა შესაბამისი ცვლილება და ჩაეშენებინა ინდიკატორები. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რჩევა და ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა სრულყოფილი დოკუმენტი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები, მათი მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. როგორც აღვნიშნე, ერთწლიან გეგმაში არ იყო გაწერილი ინდიკატორების რაც სკოლას საშუალებას მისცემდა, ობიექტურად გაეზომა რამდენად შეძლეს დასახული გეგმის შესრულება. ვიზიტის დასრულებამდე შეიტანეს ცვლილება და წარმოადგინეს ექსპერტებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს (თავი N10). მონიტორინგის ანგარიში საჯაროვდება და თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები
- 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლაში მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები, რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, ასევე სკოლის სტრუქტურის დოკუმენტში, რომელშიც სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები სრულყოფილად იყო გაწერილი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამოიყნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, სკოლის შინაგანაწესისა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობების აღმწერი დოკუმენტის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს, დირექტორის უფლება-მოვალეობები დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად არის განსაზღვრული. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან. მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;

- ბრძანება N2 (09.09.2023წ.) ვაკანსიის შესახებ
საკონკურსო კომისიის შესახებ
- საკონკურსო კომისიის ოქმი
- შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების მიხედვით;
- შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით. ასევე, სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია როგორც სადემონსტრაციო დაფაზე, ასევე გაზიარებულია სოციალური ქსელის შიდა დახურულ ჯგუფებში და ხელმისაწვდომია ყველასთვის. მისი შინაარსის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის. სკოლის შინაგანაწესი აღწერს სკოლაში არსებულ სამუშაო გარემოს, სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლა მცირე კონტინგენტიანია. შესაბამისად, მისი ბიუჯეტი დიდი არ არის და უჭირს დამატებითი კადრის აყვანა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პერიოდულად აკეთებს ადამიანური რესურსების საჭიროებების ანალიზს. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დგინდება შემდგომი ინტერვენციები როგორც საკუთარი რესურსით, ასევე, გარე მომწოდებლების მიერ ორგანიზებული აქტივობების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ სკოლის დებულება, ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი,

მოიცავს თითოეული თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალს, რაც სკოლას საშუალებას აძლევს, უზრუნველყოს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრული შერჩევის ეტაპები განახორციელოს. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელიც ახორციელებს დაკვირვებას პედაგოგებზე და სასწავლო პროცესის ხარისხზე. შესაბამისი უკუკავშირის საფუძველზე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადამიანური რესურსის ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს ქმედით ნაბიჯებს საჭირო კადრის დამატებისა თუ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლას დამტკიცებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. ზემოაღნიშნული დოკუმენტი აღგენს მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას შეისწავლეს საკონკურსო მასალები. ასევე, სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები, შესაბამისი ბრძანებები და ხელშეკრულებები. სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებს, ორი პედაგოგის გარდა, წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის. სკოლის დირექტორს მიეცა რჩევა, სასწავლო წლის დაწყებამდე ორივე პედაგოგს წარმოადგენინოს კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ექსპერტებმა შევისწავლეთ სკოლის პედაგოგებისა და პერსონალის პირადი საქმეები, განვიხილეთ პედაგოგების მონაცემები (მინიჭებული სტატუსები) სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ასევე, გავეცანით შრომით ხელშეკრულებებს. როგორც გაირკვა, სკოლაში პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებდა 20 მასწავლებელი. მათგან 17 უფროსი, 2 - წამყვანი, ერთი მოწვეული მასწავლებელია. სკოლას ჰყავს რამდენიმე პედაგოგი, რომელიც ორ საგანს ასწავლის. თუმცა ყველას კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლას აქვს გუნდური მუშაობის კულტურა. სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია მონაწილეობითი და თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპებზე. აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, სტრუქტურული ერთეულების შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. მეორეს მხრივ, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი და თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტები, მკაფიოდ განსაზღვრავს ფუნქციათა დელეგირებას და იერარქიულ დაქვემდებარებას, რაც პროცესების მწყობრად განხორციელებას განაპირობებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შინაგანაწესის მე-10 მუხლი(დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი) განსაზღვრავს დასაქმებულის წახალისების ფორმებს. მათ შორის არის, მაღლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. შესაბამისი ბრძანებების შესწავლის საფუძველზე მტკიცდება, რომ სკოლა ნამდვილად ცდილობს პერსონალის წახალისებას როგორც მაღლობის გამოცხადებით, ასევე დღესასწაულებზე და სახადასხვა პროექტების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში პრემიების გადაცემით, რაც დასტურდება შესაბამისი პედაგოგებთან ინტერვიუდან. მათ აღნიშნეს, რომ აღიარება და მაღლობის გამოცხადებაც კი ერთმნიშვნელოვნად მატებთ მოტივაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- საკონკურსო კომისიის ოქმი
- შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების მიხედვით;
- შინაგანაწესი;
- ბრძანება მაღლობის გამოცხადების შესახებ
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- ინტერვიუ პედაგოგებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია, სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა შიდა შეფასება - მასწავლებლის საქმიანობაზე, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. სკოლამ წამოადგინა ზემოაღნიშნული ჯგუფის შეხვედრის ოქმები და ანგარიშები, რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის შეფასებას, რის საფუძველზეც დგინდება მათი საჭიროებები და იგეგმება შემდგომი ინტერვენციები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

სკოლას ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებისა და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შედგენილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობები, რაც გაწერილია 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაშიც. კერძოდ, ტრენინგები, თანამშრომლობითი შეხვედრები. სკოლა ჩართულია USAID-ის დაწყებითი განათლების გრძელვადიან პროგრამაში, სკოლაში დანერგილია ლიდერი მასწავლებლების პროგრამა. ლიდერი მასწავლებლები უწყვეტად ესწრებიან ტრენინგებს და გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. აღსანიშნავია, რომ სკოლის პირადი საქმეების დათვალიერებისას, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: სერტიფიკატები, ცნობები, ტრენინგის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

როგორც სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში იკითხება და ინტერვიურებისას დადასტურდა, სკოლის პრიორიტეტია პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობა, ამისათვის შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მართვის ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს აძლევს უკუკავშირს და რეკომენდაციებს, რა მიმართულებით ესაჭიროებათ პროფესიული განვითარება. ეს პროცესები აისახება თანამშრომელთა კარიერულ ზრდაზეც. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია ამოცანები (მუხლი 3 და მუხლი 4), რომლის შინაარსშიც იკითხება, რომ სკოლამ მუდმივად უდა იზრუნოს პერსონალის პროფესიულ, კარიერულ ზრდასა და განვითარებაზე. სკოლა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დროულად აწვდის ინფორმაციას მიმდინარე ტრენინგებსა და აქტივობების თაობაზე. საჭიროებიდან გამომდინარე, პედაგოგები მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებსა, აქტივობებსა და აკრედიტებულ პროგრამებში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმები (მუხლი 18). სკოლაში ძირითადად ადგილობრივი მაცხოვრებლები და იმავე სკოლის კურსდამთვრებულები არიან დასაქმებულნი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან კარგად იცნობენ ერთმანეთს, როგორც ირკვევა, სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციისა და სოციალიზაციის მიზნით მიმართავს სხვადასხვა აქტივობებს, კერძოდ: ახალი თანამშრომლისათვის სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, სკოლის დათვალიერება, პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში აღწერილია თანამშრომელთა მოტივაციის მექანიზმები, ძირითადად კარგად შესრულებული სამუშაოს შეფასების ფორმებს აღწერს, რაც შინაგანაწესშიც იკითხება, თუმცა, კათედრებთან შეხვედრისა და ზოგადად, პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ნამდვილად გუნდური მუშაობის პრინციპს ეყრდნობა და წახალისებულია პედაგოგების ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც სწავლების ხარისხსა თუ სკოლის განვითარების ხელშეწყობას განაპირობებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა 2023-2024წწ.;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დოკუმენტაცია.
- ბრძანება # 56 (22.12.2023წ.) პრემიების გაცემის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომლის თანახმად სკოლაში დანერგილია შეფასების ორი მექანიზმი: შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმვა-განახორციელება-შეამოწმე-განავითარე, ასევე, გარე შეფასება. სკოლას წარმოდგენილი აქვს აგრეთვე, ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი) და ანგარიშები, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სკოლის მიერ განსახორციელებელი საქმიანობები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სტანდარტებთან (საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მისი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხორციელდება დაგეგმილი ღონისძიებები: მოსწავლეთა საგანმანათლებლო ცოდნისა და უნარების დიაგნოსტიკა, განმავითარებელი შეფასებების გაზიარება მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის. არაფორმალურ განათლების მიმართულებით სკოლა ახორციელებს პროექტებს, რაც ადასტურებს, რომ პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად მიმდინარეობს, თუმცა, ამ მიმართულებით სკოლას კიდევ უფრო ბევრი აქვს სამუშაო, ეს SVOT ანალიზშიც გამოიკვეთა და სკოლს ასახული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ამავე სკოთხზე ექსპერტებისგან მიიღეს რჩევები .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირებას. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები კარგად აღწერს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. მმართველობით პროცესი უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. ასევე აღწერილია დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და გულისხმობს: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოებას, საქმისწარმოებას , ფინანსების მართვას, საზოგადოებასთან ურთიერთობას და სხვა. თითოეული მიმართულებისთვის შედგენილია მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც განაპირობებს პროცესების ორგანიზებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი) შესწავლისას გამოიკვეთა , რომ გადაწყვეტილებების გასაჩივრების , ასევე საჩივრების განხილვის პროცესები და მექანიზმები იკითხებოდა . ასევე სკოლას ცალკე დოკუმენტად ჰქონდა წარმოდგენილი დოკუმენტი „ მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი“ (დანართი 21), რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის მექანიზმები .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის შინაგანაწესში , ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ხელშეკრულებებში, ნაკლებად იკითხებოდა პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლა ცალკე დოკუმენტად წარმოადგინა მოსწავლის , მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მონაწილე მხარეთა ინტერესებს. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც სემესტრში არანაკლებ ორჯერ იკრიბება, განიხილავს სკოლის საჭიროებებს და სკოლის დირექტორს მიმართავს რეკომენდაციებით. სკოლის მიზანია , აიცილონ ყველა ტიპის დისკრიმინაცია - სოციალური, ეთნიკური წარმომავლობის, ენის, რელიგიის და სხვა სტატუსის მიხედვით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლის , მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სტრუქტურული ერთეულების მუშაობა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) ჩართულობის საფუძველზე ხორციელდება. მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, დებულებებს, მარეგულირებელ წესებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. ყველა დოკუმენტი პროექტის სახით განსახილველად წარდგენილი იყო მშობელთა კრებებზე, პედაგოგებზე, სასკოლო საზოგადოების წინაშე. სკოლის მართვის პროცესებში აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭო, რომელსაც ყოველწლიურად წარედგინება მომდევნო წლის ბიუჯეტი, რათა მოხდეს დამტკიცება. სკოლა აცნობიერებს, რომ საჭიროა მკაფიოდ გაწერილი მექანიზმები, ამიტომ გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანოების ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო და მოსწავლეთა თვითმართველობა. მოსწავლეთა თვითმართველობის არჩევნები ყოველწლიურად ტარდება და ასევე ირჩევა მოსწავლე, რომელიც შუვა სამეურვეო საბჭოში. სკოლაში აქტიურად მუშაობენ კათედრები, რომლებიც ასევე აქტიურად არიან სკოლის ცხოვრებაში ჩართულები. თითოეული ორგანოს უკუკავშირი მნიშვნელოვანია სკოლის განვითარებისთვის .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის დებულება
- პესდაბჭოს ოქმები
- პროექტები
 - დებულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვის პროცედურებს და მექანიზმებს. უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების ერთ-ერთი მიზანი - სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაა, წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება და ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ეს ფუნქცია შეთავსებული აქვს სამოქალაქო განათლების პედაგოგს. ჰყავს ორი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობაში შემსვლელსა და გამომსვლელთა კონტროლს, ასევე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - ცეცხლფარეში და ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი პირი - ექთანი, ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის სამედიცინო კაბინეტი, განიხილეს ექთნის პირადი საქმე. ასევე გაეცნენ მიმართვიანობის დინამიკასა და კონკრეტული შემთხვევების მართვის პროცედურებს. როგორც გაირკვა, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა და ექთნის კვალიფიკაცია შესაბამემა მოქმედ კანონმდებლობას. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომლის დანართსაც წარმოადგენს პირველადი დახმარების პროტოკოლი. ასევე სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში

შემაჯალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, საიდანაც დგინდება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან 2024 წლის , 23 აპრილს , გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმად, უნდა შემოწმდეს სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა და დადგინდეს შენობა ექსპლუატაციისთვის ვარგისიბა. შესაბამისობის გეგმის მიხედვით შენობის მდგრადობის დასკვნის წარმოდგენის ბოლო ვადად მითითებულია 23.04.2026 წ.

ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

როგორც აღვნიშნე, სკოლას ჰყავს ექთანი, დათვალეირებისას დადგინდა, რომ ექიმის ოთახი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვევტარით, რაც საშუალებას იძლევა პირველადი დახმარების სათანადოდ აღმოჩენისა, ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ასევე წარმოადგინა დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და პროცესები. ექთანი მხოლოდ მშობელთან შეთანხმებით გასცემს მედიკამენტს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლას აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომლითაც ხელმძღვანელობს. სკოლა მკაცრად აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების გადაადგილებას. სკოლას არ ჰყავს მანდატური. შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს სამეთვალყურეო კამერები (10 კამერა). აკრძალვას უწესებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. ხოლო შესვენებებზე სკოლის დერეფნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ სართულის მორიგე მასწავლებლები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში მეგობრული გარემოა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს ფსიქოლოგი, უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ზრუნავს სკოლის ყველა თანამსრომელი. კლასის დამრიგებლები ფსიქოლოგიური, ემოციური და ფიზიკური უსაფრთხო გარემოს შექმნის თემაზე ატარებენ კლასის საათებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლის ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს შენობის დასუფთავებას, ასევე, კანონმდებლობის ფარგლებში სკოლის ექთანი. პერსონალის ფუნქციები გაწერილია მათ ხელშეკრულებებში. ასევე სკოლის

მიერ წარმოდგენილ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში (მუხლი 9) მკაფიოდ არის გაწერილი ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლის შენობაში არის უწყვეტი წყალმომარაგება. სკოლის შენობაში სრულად მოწესრიგებულია სველი წერტილები, სკოლა აღჭურვილია საჭირო ჰიგიენური საშუალებებით. სკოლაში ყოველდღიურად ხდება ეზოსა და სკოლის შემოგარენის დასუფთავება, სკოლის შესასვლელთან დგას სანაგვე ურნა. სკოლის დერეფნებში, ყოველ საკლასო ოთახში, კაბინეტებში, საპირფარეშოს ყოველ განყოფილებაში განთავსებულია სანაგვე კონტეინერები, სკოლა ყოველდღიურად სუფთავდება სველი წესით. მერხები და მაგიდები იწმინდება სადეზინფექციო საშუალებებით. სკოლას სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებული ყავს 3 პირი, რომლებიც ახორციელებენ სკოლის ეზოსა და მისი შემოგარენის მოწესრიგებას.

ანგარიშგების სისტემა ეფექტურად მუშაობს და შესაბამისად, დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც დეტალურად აღწერს დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკას აღნიშნული მიმართულებით. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებას ისე, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. მოსწავლეთა პირად საქმეებში, ასევე ხელშეკრულებებში, წარმოდგენილია მათი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობები პერსონალური მონაცემების საგანმანათლებლო მიზნებისათვის დამუშავებასთან დაკავშირებით. მცირე ბიუჯეტის გამო სკოლას არ ჰყავს პირადი მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი ცალკე გამოყოფილი პირი. ეს ფუნქცია ითავსებული აქვს საქმის მწარმოებელს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების თანახმად, სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის ელექტრონული სისტემა დაცულია ანტივირუსული დაზიანებისაგან. მაგრამ სკოლა ითვალისწინებს მოსალოდნელ რისკებს და ინფორმაციას ინახავს მატერიალურ საცავში და ფლემ ბარათებზე. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლა პერიოდულად აგროვებს და ამუშავებს ინფორმაციას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით. ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დარაჯი, ასევე მორიგე მასწავლებლები. ასევე სკოლას ეხმარება მრჩეველთა საბჭო, რომლის სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან დადებული ხელშეკრულება;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- ექთნის ხელშეკრულება;
- ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის.
 - პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა აღგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სკოლას აქვს 10256.00 კვ.მ - ფართის შემოღობილი ეზო. ორსართულიანი შენობის საერთო ფართი შეადგენს 293,51 კვ.მ -ს. ასევე, ეზოში აქვს დამხმარე ნაგებობები: საქვაბე და გარე საპირფარეშო (გაუქმებულია). სკოლა ნაწილობრივ ახალგარემონტებულია, რეაბილიტირებულია შენობის პირველი სართული, აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის ყველა საჭირო ინვენტარით (გარკვეული ნაწილი გასაახლებელია). სკოლას არ აქვს სპორტული მოედანი, ამიტომ გაკვეთილები ტარდება ეზოში, ასევე სარგებლობენ სკოლასთან ახლომდებარე სოფლის მოედნით, ხოლო უამინდობაში ფოიეთი, რომლის ფართი იძლევა სპორტული აქტივობების ჩატარების საშუალებას. ასევე აქვს, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ლაბორეტორია ნაილობრივ არის აღჭურვილი), ექთნის კაბინეტი და სხვა დამხმარე სივრცეები. ბიბლიოთეკა, სადაც როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ წიგნებით. არსებული წიგნადი ფონდი 3641 წიგნს მოიცავს.

რაც შეეხება ტექნიკურ ბაზას, სკოლას აქვს 5 პრინტერი, 2 ცალი პროექტორი და 6 პერსონალური კომპიუტერი და 22 ლეპტოპი, 10 სამეთვალტურეო კამერა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის. სკოლის გარემო ნაწილობრივ ადაპტირებულია. კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია მეორე სართულზე. სკოლას აქვს გარე პანდუსი, მაგრამ არ აქვს შიდა პანდუსი, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიას. ბიბლიოთეკას, ექიმის კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორეტორია, საპირფარეშოები, მათ შორის ადატირებული საპირფარეშო, განთავსებულია პირველ სართულზე. ამიტომ, სკოლას მიეცა რჩევა, კომპიუტერული ლაბორატორიის პირველ სართულზე გადმოტანის თობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს შშმ მოსწავლე, და, იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს თუნდაც მოძრავი პანდუსები, ვერ ჩავთვლით, რომ ხელმისაწვდომია ყველასთვის. თუმცა, ექსპერტების რჩევის გათვალისწინებით, ვიზიტის დასრულებამდე, სკოლამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და რესურსებით უზრუნველყოფის სამსახურთან გაგზავნილი ორი წერილი, ერთი წერილი პანდუსების დამონტაჟების თაობაზე, მეორე - კომპიუტერული ლაბორატორიის პირველ სართულზე გადმოტანის თხოვნის შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლითაც ხელმძღვანელობენ. როგორც აღვნიშნეთ ბიბლიოთეკას აქვს საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი. სკოლის ბიბლიოთეკას აქვს კატალოგი, რომელსაც მოსწავლეები წიგნის ძიების დროს თავადაც იყენებენ. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. წიგნების უმრავლესი ნაწილი დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით, ძველ წიგნებს მხოლოდ ნომერი აქვს მინიჭებული. თუმცა, როგორც ბიბლიოთეკარის ინტერვიუდან გაირკვა, ამ წიგნების დიდი ნაწილი ჩამოსაწერია. ბიბლიოთეკაში ვხვდებით სკოლის მიერ გამოწერილ პერიოდულ გამოცემებს, გრიფმინიჭებულ წიგნებსა და დამხმარე რესურსებს.(სკოლის ბუღალტერთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები). სკოლა ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით, რომელიც იქვეა გამოკრული. ბიბლიოთეკაშივე გამოყოფილი იყო საარქივო სივრცე, ჩამოწერილი წიგნებისა და ძველი ჟურნალების დასაარქივებლად. სკოლას მიეცა რჩევა, არქივისთვის იზოლირებული დაცული სივრცის გამოყოფის შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლაში ნაწილობრივ შექმნილია ინკლუზიური გარემო. სკოლას აქვს უზოდან შესასვლელი პანდუსი ასევე, რესურსოთახი. პირველ სართულზე განლაგებულია ადაპტირებული საპირფარეშო, სამედიცინო ოთახი, რომელიც მოწყობილია და აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსით. დერეფანში გადასაადგილებლად არის ფართო სივრცე. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას კომპიუტერული ლაბორატორიის განთავსებული ჰქონდა მეორე სართულზე. იმ ეტაპზე სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ მიწერილობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან (წერილი MES 5 24 0000883285, 19.07 2024წ.)კომპიუტერული ლაბორატორიის პირველ სართულზე გადმოტანის თხოვნით. ამ დროისათვის სკოლამ უზრუნველყო კომპიუტერული ლაბორატორიის პირველ სართულზე გადმოტანა, რაც დასტურდება ფოტომასალით.

ამჟამად სკოლაში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლე. სკოლა აცხადებს მზაობას, დაფინანსების შემთხვევაში, ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად მოაწყოს და აღჭურვოს რესურსოთახი, შექმნას სრულად ადაპტირებული ინკლუზიური გარემო.

ინდიკატორი ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლა ძალიან ცდილობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ არ აქვს სააქტო დარბაზი და სტადიონი, სპეციალურად გამოყოფილ დიდ საკლასო ოთახში მაინც ატარებენ სხვადასხვა საინტერესო კულტურულ ღონისძიებებს. სკოლაში ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში გახორციელდა სასკოლო პროექტი “ჯანსაღი ცხოვრების წესი”, რომელშიც ჩართული იყო მთლიანი სასკოლო საზოგადოება. ასევე განხორციელდა სასწავლო პროექტები. “რას მოგვითხრობს მესხეთის მიწა”, “დავიცვათ ღედაბუნება”, „ქართველი რომანტიკოსები“,“სოციალური პროექტი:“ მე, ფერმერი”, STEAM პროექტი გასროლილი სხეულის მოძრაობა. ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებაში ასევე აქტიურად არის ჩართული თვითმმართველობა. როგორც უკვე აღვინიშნეთ, სასკოლო ღონისძიებებში ჩართულია ბიბლიოთეკა, კათედრები, თვითმმართველობა. სკოლის ტექნოლოგიური რესურსი უზრუნველყოფს ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას აქვს მწირე რესურსი, შეძლებისდაგვარად ატარებენ ცდებსა და კვლევებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- სასკოლო ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

შეფასება:

- წერილები საგანმანათლებლო და სამეცნიერო იმფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
- - გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
 - შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლაში არსებული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულიად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

სკოლას აქვს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. კერძოდ, 6 პერსონალური კომპიუტერი, 22 ლეპტოპი, რომელთა დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი, სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში. სკოლას აქვს 5 პრინტერი/ქსეროქსი, 2 ცალი პროექტორი. ტექნოლოგიები ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლის ადმინისტრაციის და პერსონალის კაბინეტებშიც განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც ადმინისტრაციული პროცესის წარმართვისთვის გამოიყენება (Eschool, Eflow). სკოლის ყველა

თანამშრომელი სარგებლოს საერთო ტექნოლოგიური სივრცით. სკოლა სრულად დაფარულია უკაბელო ინტერნეტ კავშირით, სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლის ფარგლებშიც ხდება კომპიუტერისა და პროექტორის ხშირად გამოყენება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვს ყველას. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც რეგულირდება მათი ხელმისაწვდომობა და გამოყენების წესი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- კომპიუტერული ლაბორატორია.
- ელექტრონული სისტემა - eflow - ს გამოყენების თაობაზე.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი და საქმისწარმოებას ახორციელებს დადგენილი წესის მიხედვით. წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის, ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლაში შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის, საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის, მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალები. საქმისწარმოების ჟურნალები იყო დანომრილი, მაგრამ არ იყო აკინძული სათანადო წესით. სკოლამ ექსპერტების რჩევის გათვალისწინებით, ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა აკინძული ჟურნალები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონულად - eflow სისტემით, სარგებლობენ ელექტრონული ფოსტით uplistsikhe@mes.gov.ge, რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პერსონალური მონაცემები. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით დოკუმენტბრუნვა მიმდინარეობს ელექტრონულად და მატერიალური ჟურნალების წარმოებით. მოსწავლეთა ადრიცხვა-შეფასებისათვის კი იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების მონაცემები და სხვა საჭირო ინფორმაცია, ზემოაღნიშნულ პლათფორმებზე წვდომა აქვს სკოლის დირექტორსა და საქმისმწრმოებელს. ბუღალტერს წვდომა აქვს მხოლოდ სამტატო განრიგის მონაცემებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

როგორც აღვნიშნე, სკოლა იყენებს eflow სისტემასა და Eschool ელექტრონულ ბაზას, რომელშიც სულად არის ასახული სკოლის, პერსონალის, მოსწავლთა შესახებ ინფორმაცია და საქმისწარმოების ყველა დოკუმენტი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა თავის საგანმანათლებლო საქმიანობას ზემდგომ ორგანოებთან ახორციელებს ელექტრონული ფორმით. კერძოდ, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემით და ელექტრონული ფოსტით. სკოლაში არის გამართული კომუნიკაციის სისტემა. სკოლაში შემოსული ინფორმაციის მოთხოვნა/ მიღება, უკუკავშირი ხდება ყოველთვის გონივრულ ვადებში. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და აქტიურად თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- eflow სისტემასა და Eschool ბაზა

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

სკოლას აქვს ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools>, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ და სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები. ასევე სოციალურ პლატფორმა facebook-ზე შექმნილი აქვს საკუთარი გვერდი. სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე წარმოდგენილია - ინფორმაცია სკოლის შესახებ, განხორციელებული აქტივობები, ინფორმაცია სიახლეების შესახებ. სკოლა დამატებით იყენებს TEAMS-ის პლატფორმასაც. ორივე პლატფორმაზე გახსნილი აქვს მშობელთა დახურული ჯგუფები და იყენებს ინფორმაციის მიწოდებისა და უკუკავშირის მიღების მიზნით. მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დასწრების შესახებ ინფორმაციას მშობელი იღებს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ მხოლოდ უტყუარი ინფორმაციას ავრცელებს. აღნიშნული დადასტურდა სკოლის ვებ გვერდის დათვალიერებისას. კერძოდ, სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ფოტომასალა, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ დეტალურად აღწერს სკოლაში მიმდინარე პროცესებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**

სკოლა სხვადასხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციაზე მყისიერ რეაგირებს და მათი გათვალისწინებით გეგმავს საქმიანობის განვითარების ღონისძიებებს. უკუკავშირების, მოსაზრებების,

რეკომენდაციების მიღებას და მათზე რეაგირებას სკოლა მშობელთა კრებებზე, მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ჩატარებულ შეხვედრებზე ახდენს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი skolebi.emis.ge, რომელზეც ქართულ ენაზეა განთავსებული სკოლის შესახებ ინფორმაცია და წვდომა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებგვერდი ინფორმაციულია, ატვირთულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სტრუქტურა, შიგანაწესი. დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. აგრეთვე, დეტალურად აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, ფინანსურ ანგარიშებს,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/2380?schoolName>
- სკოლის facebook გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლა მცირეკონტიგენტიანია და მისი ბიუჯეტი შედგება მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსებისგან. ამიტომ სკოლა ცდილობს, რაციონალურად გამოიყენოს იგი. ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ხმარდება შრომის ანაზღაურებას, ნაწილით იფარება კომუნალური გადასახადები და საოფისე (საკანცელარიო ნივთები, ქაღალდი და ა.შ.) ხარჯები. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. ხოლო საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებისთვის მიმართავს სამეურვეო საბჭოს. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას წინასწარ შეიმუშავენს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელიც სკოლის საჭიროებებზეა დაფუძნებული და მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ადგენს ბაზრის კვლევის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. შემდეგ კი ბუღალტერი გეგმას ტვირთავს სახელმწიფო შესყიდვების Eplan-ში. წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების შემთხვევაში შესყიდვების გეგმაში შედის შესწორება ღირებულების ბრძანებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინანსური ანგარიში
- ბიუჯეტი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმი, რომელიც, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით, ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ასევე, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია თითოეული მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები და უზრუნველყოფს ამ უფლებების დაცვას, რომელსაც დანართის სახით კიდევ დაემატა მკაფიოდ გაწერილი უფლებები. შინაგანაწესი ეფუძნება მოსწავლის ქცევის კოდექსს, რომელიც ხელს უწყობს სწავლისათვის ისეთი გარემოსა და პირობების შექმნას, სადაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ღირებულებების ჩამოყალიბებას. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩეულია დემოკრატიული წესით, კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლეთა უფლებები, მოსაზრებები და ინტერესები ყოველთვის გათვალისწინებული და მხარდაჭერილია. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსავლე, თუმცა აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება, სკოლაში შედგენილი ყველა დოკუმენტი, მათ შორის, სასკოლო-სასწავლო გეგმა, დებულებები, რეგულაციები უზრუნველყოფენ მოსწავლეებს თანაბარ პირობებში, შეუზღუდავად ისარგებლონ სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობით, თუ რესურსით. აღნიშნული დადასტურდა სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვისა, თუ ინტერვიუების პროცესში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის დერეფანში, ყველასთვის ხელმისაწვდომ სივრცეში. სასწავლო წლის დასაწყისში შინაგანაწესს კლასის დამრიგებლები აცნობენ სკოლაში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. ასევე, სხვა შიდასასკოლო ნორმატიულ აქტებს, პერიოდულად უტარებენ საუბრებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის თემაზე. სკოლასა და მშობლებს შორის იდება ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

იმისათვის, რომ მშობელი იყოს დროულად ინფორმირებული მისი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ, დამრიგებელი და თითოეული საგნის მასწავლებელი ადრეცხავს მოსწავლეთა ყოველდღიური გაცდენების პედაგოგებისგან აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების. მშობლის ინფორმირება ხორციელდება მასწავლებლის/დამრიგებლის/დირექციის მხრიდან პირისპირ ან სოციალური ქსელის დახმარებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სკოლას აქვს მშობელთან გასაფორმებელი ხელშეკრულება, სადაც გაწერილი აქვს მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე, სკოლის ვალდებულება მოსწავლესთან მიმართებაში. ხელშეკრულების თანახმად, მოსწავლე უფლებამოსილია: მიიღოს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის განათლება, პედაგოგთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, მიმართოს ადმინისტრაციას და გამოსატოს თავისი შეხედულება .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობლის ხელშეკრულებები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (მოსწავლია ჩარიცხვის საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, შინაგანაწესი, სასწავლო გეგმა...) გაწერილია სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის კრიტერიუმები . ასევე შესაბამისი ბრძანებების რევიზიისას დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების# 193 / 6 (19.09.2012წ) ბრძანება N04/6, (11.01.2017წ.))

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

